



ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საპროლეტარიატო სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპორტისა და სპორტის მინისტრისა და პროლეტარიატის საპროლეტარიატო რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

დამთავრდება საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭილაობაში

№ 120 (1290)

სამშაბათი, 7 ოქტომბერი, 1958 წ.

გამოცემის მე-15 წელი.

ფასი 80 კაპ.

სურათზე: შეჯიბრების განხილვაში მიმღწილი ადამიანი.


მიუნხენის ოლიმპიადა

უკვე გათამაშდა სამი ტური, ბირველ ნახევარფინალურ ჯგუფში წინ არის საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელმაც დაამარცხა ავსტრიისა და ბულგარეთის მოჭადრაკეები. მეორე ტურში ავსტრიის სან სწრაფი გაპარჯებმა მოიპოვა გროსმაისტერებმა ტალმა და პეტროსიანმა საერთაშორისო ოსტატებთან ბენისა და ლოკვენცთან, ყოფით დამთავრდა სმისლოვის შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ პრამსკუბერთან. მოულოდნელი დამარცხება განიცადა მსოფლიო ჩემპიონმა ბოტვინიკმა. საერთაშორისო ოსტატ დიუკშტეინთან, ამგვარად, ავსტრიისთან მატჩის ანგარიშია 2,5:1,5 საბჭოთა კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

მესამე ტურში ბულგარეთთან ერთმანაშვეს ბოტვინიკმა და ბრონსტეინმა, რომელთაც ტალი და პეტროსიანი ცვლიდნენ. ბირველ დღეზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა მკაცრ შეხვედრულ ბოტოლაში მოუგო ბულგარეთის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ ბობოციევს, კერძოა ძლიერი იერი-შით აიძულა მინევი შეეწყვიტა წინააღმდეგობა. სულ ოცი სგლა გაკეთდა ტალ-მილევის პარტიაში, რის შემდეგ ბულგარელი ოსტატები დადებდა. ყოფით დამთავრდა პეტროსიანის შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ პადევსკისთან. მატჩის ანგარიშია 3,5:0,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. სამი ტურის შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკეებმა 8,5 ქულა მოაგროვეს. მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში ლიდერობა ხელთ იგდო ესპანეთის გუნდმა, რომელმაც საპროლეტარიატის შეხვედრაში დაამარცხა ისრაელის მოჭადრაკეები (3:1), შემდეგ ადგილებზე არიან მშ (ბირველ ტურში ისვენებდა) და გურ-ს გუნდები. მესამე ნახევარფინალურ ჯგუფში წინ არიან გდრ-ს მოჭადრაკეები, ხოლო მეოთხეში — ჩეხოსლოვაკელები.

პოკეისტები ჩაებნენ პირველობაში

გერ კიდევ არ დამთავრებულა სპორტის პირველობა ფეხბურთში რომ მოსკოვში, ლენინგრადში, ბალტიისპირეთის, ციმბირის, ბელორუსიისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება შაბათს პოკეიში, რომელიც მონაწილეობს „ა“ კლასის 17 „ბ“ კლასის 81 გუნდი. ჩემპიონის ოქროს მედლისათვის იბრძოლებს „ა“ კლასის 10 კოლექტივი — მოსკოვის ცხკ მო, „კრილია სოვეტოვი“, „ლინამო“, „ლოკომო-



დიდი შეჯიბრების წინ

4 ოქტომბერს ერთხელ კიდევ შეამოწმეს თავიანთი ძალები საქართველოს მძლეოსნებმა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის წინ, რომელიც თბილისში ჩატარდება. დაწესებული იყო სპორტის დამახინჯებული ოსტატების პირობები მძლეოსნობის ოთხ სახეობაში. ბადროს მტყორცნელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 5. ლუმბაძის სახელობის პრიზის მოსაპოვებლად, სიმალეზე მხტომელებს შორის გათამაშდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ჩვენს ქვეყნის არაერთგზის რეკორდსმენის გ. შვარციბაიას სახელობის პრიზი, ლ. სანაძის სახელობის ჯილდოს მოსაპოვებლად იბრძოდნენ სპრინტერები. ე. გოციელმა კი თავისი პრიზი გამოყო თარჯმობრუნელებისათვის. პრიზის მოპოვების ყველაზე მეტი მსურველი აღმოჩნდა სპრინტერთა შეჯიბრებაში. ვაჟთა შორის მისი

ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ: ლომთაძე, კლიუფეი და ჯარაშენლი. იგი წილად ხვდა ლომთაძეს — 10,8. სიმალეზე ხტომაში გ. შვარციბაიას სახელობის ჯილდო მოიპოვა რ. შველაყაძემ, გაუთამაშებელი დარჩა ნ. ლუმბაძის სახელობის ჯილდო. რადგან, რეგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის არავინ აღმოჩნდა, პირველი თანრიგის ნორმატივის შემსრულებელი. შეჯიბრებაზე გაუმჯობესებული იქნა ორი რესპუბლიკური რეკორდი. ნ. სერგეევმა 5 კმ რბენაში სპორტის ოსტატ ვ. ვაშაიძის ძველ რეკორდს — 14.52,8-ს „ჩამოაკრა“ 4, 6 წამი, ხოლო ესტაფეტაში 4x1500 მეტრზე, გუნდმა სუხანოვის, პოხარის, სერგეევისა და ივანოვის შემადგენლობით აჩვენა 17.01,0, რაც 24 წამით უკეთესია ძველ რეკორდზე. ე. გოციელის სახელობის ჯილდო მოიპოვა მ. ქორიაძემ.

ესტაფეტა ქალაქის ქუჩებში

გასულ კვირას განსაკუთრებით გამოცოცხლება იგრძნობოდა ლენინის სახელობის მოედანზე, სადაც დანიშნული იყო ტრადიციული ესტაფეტის — „ქალაქის რკალი“ სტარტი და ფინიში, ამჯერად ეს ღონისძიება თბილისელებმა ორ მნიშვნელოვან თარიღს — კომკავშირის მე-40 და თბილისის 1500 წლისთავს მიუძღვნეს. დღის 12 საათია. ლენინის მოედანიდან რუსთაველის გამზირისაკენ სტარტი შეეჯიბრების მონაწილე ქალებს. სტარტიდანვე წინ წავიდა ფიჭულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ვოლოშინა. მის მიერ მოპოვებული სხვაობა მესამე და მეხუთე ეტაპზე კიდევ უფრო გაზარდეს გაბეხაძემ და სანეევამ, ხოლო უკანასკნელ ეტაპზე ოვიანი დაწინაურდა და პირველმა აიკრა მეკრძღვე ფინიშის ლენტი. გამარჯვებული გუნდის დრო 5.15,2, 54,2 წამით უკეთესია შარშანდელ შედეგზე. შარშანდელზე უკეთესი შედეგი 6.14,8 აჩვენა მეორე ადგილზე გამოსულმა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა.

საწინააღმდეგო მარშრუტში აიღეს გეზი ვაუტებმა. როგორც ქალთა შორის, აქაც უკეთ მომზადებულები აღმოჩნდნენ ფიჭულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები. მათ პირველ და მეორე ეტაპზე გამოიყვანეს საშუალო მანძილზე მორბენლები თვაური და სერგეევი, რომლებმაც საკმაო მანძილით გაუსწრეს, ძირითად კონკურენტს — პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, მაგრამ შემდეგ ორ ეტაპზე მომავალმა ინჟინრებმა გამოსწორეს ჩამორჩენა, ხოლო შაბათს ერთხანს კიდევ გაასწრო კონკურენტს, მაგრამ ეს იყო მათი უკანასკნელი წარმატება. თანდათან აუკარა გახდა ფიჭულტურის ინსტიტუტის გუნდის უპირატესობა და ჯარაშენელმა 150 მეტრით მიახლოა ფინიშზე მოწინააღმდეგეს. გამარჯვებულმა გუნდმა — ფიჭულტურის ინსტიტუტმა 3,2 წამით უკეთესი შედეგი — 17.54,0 აჩვენა, ვიდრე გასული წლის შეჯიბრებაზე. პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდები გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.



სურათზე: ესტაფეტის გადაცემის მომენტი რუსთაველის გამზირზე.

ტივი“, „სპარტაკი“, ლენინგრადის „ავანგარდი“, სკვო, ვოსკრესენსკის „ხიმიკი“, ჩელაბინსკის „ავანგარდი“, გორკის „ტორპედო“. „ა“ კლასის დანარჩენი 7 გუნდი — სვერდლოვსკის „სპარტაკი“, ნოვოსიბირსკის „ლინამო“, რიგის „დაუგავა“, ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, პერმის სპორტკლუბის, ელექტროსტალისა და კალინინის გუნდები გაათამაშებენ 11-17 ადგილებს. პირველი ათეულის პოკეისტები ერთმანეთს შეხვდებიან



ზ. ანტონიშვილი



ზ. მაჩხანელი

საქართველოს 1958 წლის ჩემპიონები
სასტენდო სროლაში

არაშენილებმა გაიმარჯვეს

კომკავშირის მე-40 წლისთავს მი-
უძღვნეს რაიონული საშემოდგომო
კროსის მეორე ტური სიღნაღელში
ფიზკულტურელებმა.
1000 მეტრზე ჭაბუკთა შორის
გაიმარჯვა არაშენილებმა ა. მოსუ-
ლიშვილმა, 8 კილომეტრზე ფინიშ-
თან პირველი მივიდა მისი თანა-
გუნდელი ვ. ზვიერიანი — 28.48,0.
ქალთა შორის 2 კილომეტრთან
დისტანციაზე ზ. ჩივიანი (არა-
შენი) მოიპოვა პირველი ადგილი.

500 მეტრზე გოგონათა შორის უძ-
ღვრის სანელი დამკვიდრა
კაპრეტელი მოსწავლე ე. კუპრა-
ვიშვილი, ქალთა 800 მეტრზე რბე-
ნაში ფინიშთან პირველი იყო ც. ბი-
ლიაშვილი (არაშენი).
საერთო გუნდური პირველი ად-
გილი მოიპოვეს არაშენის საშუ-
ალო სკოლის მოსწავლეებმა, მეო-
რეზე არიან კაპრეტელი, მესამეზე
— მელანელი სპორტსმენები.
6. ჯიჰუარაშვილი

საპროტა
კავშირის
თასზე

დაიწყო შეჯიბრების პროტა-
ჩები ჩვენს ქვეყანაში ფეხ-
ბურთში ოსტატთა გუნდებისათვის,
ორთხვევით ადგილობრივ
„ზნამია ტრუბა“ (2:1) დაამარცხა
კომინიოვის „მოლოდინა“, „ზნამია
ტრუბა“ შეხვედრა კუბიშვილის
„კრილია სოვეტოვისა“ და მოსკო-
ვის „ლოკომოტივის“ შორის გა-
მარჯვებულს.
ტაშკენტში ადგილობრივმა „ბა-
ტაკორმა“ საკავშირო თასის მერ-
ვედფინალში მიიღო ლეონის სკო-
მატი მოიგეს ტაშკენტელებმა ან-
გარიშით 2:1. მეოთხედფინალში
მათ წინააღმდეგ ითამაშეს ცსკ მო-
სკო და მოსკოვის „დინამოს“ შორის
გამარჯვებულს.

მეხუთე პაპირში

მართველ მოსიმაღლე მთავსვლელთა მორიგი
გამარჯვება

თი დიდი ამოცანის განხორციე-
ლებისათვის, რომელიც აღ. ჯგჯა-
რიძის სახელობის საქართველოს
აღმურ კლუბს აქვს დასახვლის
მომავალი 1959 წლისათვის — მო-
აწყობის სასიმაღლო ექსპედიცია მი-
მართა (ნეპალიდან) ერთერთი რვა-
ათასიანი მწვერვლის დასაპრობ-
ად, — საქართველოს მოსიმაღლე
მთავსვლელთა ექსპედიცია აღმოსავ-
ლეთ პამირში ავგისტო-სექტემბერ-
ში აწარმოებდა საწვრთნელ-საკლი-
მატიზაციო ვარჯიშს, რომელიც,
როგორც ცნობილია, დამთავრდა
ლენინის პიკზე (სიმაღლე 7184 მე-
ტრი ზღვის დონიდან) ასვლით.

სუთი წლის განმავლობაში ქართ-
ველმა მთავსვლელებმა პამირის უმა-
ღლეს მწვერვალზე ლაშქრობებ-
ში გამოიჩინეს იერიშებზე გადას-
ვლის თავისებური, მოქნილი სწრა-
ფვლის ტაქტიკა, რომელსაც უზ-
რუნველყოფს სათანადო მოწყობი-
ლი შუალედი და საიერიშო ბანაკე-
ბი. გათვალისწინებულია აგრეთვე
ასეთი ტაქტიკის სხვადასხვა ვარი-
ანტები, რომელნიც შეიძლება ნაკარ-
ნახევი იყოს მწვერვლის ტექნიკურ-
ი ხასიათით, მეტეოროლოგიური
პირობებით და მოიერიშე ჭკუფის
სპორტული დონით.

7 სექტემბერს ლენინის
პიკს შეუტია ჩინეთ-საბ-
ჭოთა კავშირის მთავ-
სვლელთა ორმა ჯგუ-
ფმა 38 სპორტსმე-
ნის მონაწილეობით; მათგან მწვერ-
ვალს ვერ მიაღწია 28 მთავს-
ვლელმა. საერთოდ კი წელს ლენინის
პიკზე ავიდა 52 მთავსვლელი, რაც
საბჭოთა სიმაღლოვანი ასვლების
უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაით-
ვალოს.

ლენინის პიკზე ანუ 7184 მეტრის
სიმაღლეზე 14 ქართველი მთავს-
ვლის ერთობლივი ასვლა, რაც აგრ-
ეთვე თითოეული მონაწილის დიდ
სპორტული მიღწევა არის ჩვენის,
ზრით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს
იმას, რომ ყველა ეს მონაწილე
უკვე სავსებით მზად არის 8000
მეტრზე მაღალი მწვერვლის და-
სვლისათვის. ამ მიზნისათვის მიმა-
ლებში გადასვლამდე დამატებით
საქირთა ზამთრის სავარჯიშო შე-
კრების ჩატარება და ამასახუსის-
მგებლო ექსპედიციის მოიერიშე და
დამხმარე ჭკუფების გაძლიერება,
ამისათვის საქართველოს აღმურ
კლუბს მართებს დიდი მუშაობის
ჩატარება.

240 წუთი
უშედეგოდ

4 ოქტომბერს ბათუმის „დინა-
მოს“ სტადიონზე გაიმართა მეო-
თხედფინალური მატჩი ფეხბურთ-
ში საბჭოთა კავშირის თასზე ძი-
რეული კოლექტივებისათვის. ად-
გილობრივმა „დინამომ“ მიიღო
ლენინგრადის კოლექტივი. შეხვე-
დრის მე-40 წუთზე მინასიანა ძი-
ლი მდგომარეობიდან გაიტანა გო-
ლი, რომლის გაქვიფა სტუმრე-
ბმა მხოლოდ მეორე ტიმიში შეს-
ლის — 1:1. ასე დამთავრდა ძი-
რითაღი დრო. დამატებით დროში
ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო
გადამწყვეტი უპირატესობის მო-
პოება, გუნდები განმეორებით მა-
ტჩში ერთმანეთს შეხვდნენ 5 ოქ-
ტომბერს. ეს მატჩიც ფრედ — 1:1
დამთავრდა.
მესამე შეხვედრა ამ გუნდებს
შორის გაიმართება დღეს.

ქ. ოში ალბინისტებს საზოგა-
დოებრივად 18 სექტემბერს მოუ-
წყო საზეიმო შეხვედრა. შეხვედრა-
ზე ჯილდოები გადაეცათ ჯერ ქა-
რთველ, შემდეგ ჩინელ და მოსკო-
ველ მთავსვლელებს. ჯილდოს წარ-
მოადგინდა ვერცხლის შეტონი, რო-
მელიც დადგენილია ლენინის პიკზე
ანსვლელებისათვის. მეტად გულ-
თბოლ ვითარებაში ჩატარდა ჩინე-
ლი და ქართველი მთავსვლელის
მეორე ურთიერთათვის სამახსოვრო
საჩუქრების გადაცემა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მთა-
სვლელ გ. ყალბაგაშვილის მიერ
ჩატარებული საორგანიზაციო-სამე-
ურნეო საქმიანობის და ექსპედი-
ციის ექიმის ქირურგ გ. მენაბდის
მუშაობა, რომელთაც მნიშვნელოვანი
წვლილი შეიტანეს ექსპედიციის
მუშაობის წარმატებით დამთავრე-
ბაში.

ოშის საზოგადოებრიობის წინა-
დადებით საქართველოს მთავს-
ვლელთა კოლექტივმა აიღო შეფო-
ბა ოშის მთავსვლელებს.

ა. ივანიშვილი,
ექსპედიციის უფროსი.

ორ
ქვეჯგუფი

დამთავრდა კომკავშირის მე-40
წლისთავისადმი მიძღვნილი თბი-
ლისის კომკავშირელ მუშათა პირ-
ველობა ფეხბურთში. მონაწილე
ცხრა გუნდი გაყოფილი იყო ორ
ქვეჯგუფად. პირველ ქვეჯგუფში
გაიმარჯვეს კომკავშირის თბილი-
სის კომიტეტისა და კალინინის
რაიონის ნაკრებმა. მეორე ქვე-
ჯგუფში პირველ ადგილზე გამო-
ვიდნენ ორჯონიკიძის სახელობის
რაიონის სპორტსმენები. ამ გუნ-
დების ფინალურ მატჩში, რომელიც
„ბურევსტნიის“ სტადიონზე ჩა-
ტარდა, ანგარიში გახსნეს ქალა-
ქის კომიტეტის ფეხბურთელებმა,
მაგრამ მეორე ნახევარში მოწინა-
ღმდეგებმა ანგარიში გაათანაბრეს
11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმი-
დან.



ჩვენში შედგა

გასულ კვირას ქუთაისში ადგი-
ლობრივი „ლოკომოტივი“ შეხვდა
„თურგს“ (გროზნო). თამაში ორი-
ვე გუნდმა ფრთხილად დაიწყო.
მასპინძლებმა, მეტოქის „მოსინჯ-
ვის“ შემდეგ, სიმძლავრე ჩავეტეს
კარის მისასვლელში და გადავი-
დნენ შეტევებზე, რომელიც უმთავ-
რესად ფლანგებიდან იწყებოდა.
მე-5 წუთზე კახიანმა მარჯვენა
ფრთხეზე წამოიწყო კომბინაცია,
რომელიც სორდამ დაავირობინა
გოლით — 1:0.
მორიგი შეტევები ქუთაისლებმა
მარცხენა ფრთხეზე გადაიტანეს,
სადაც ზარდანი კარგად გადიოდა
გარდევებზე. 30-ე წუთზე მისივე
დარტყმა ძლივს მოიგვრია მეკარემ,
მაგრამ იგი მინც იძულებული გა-
ხდა 33-ე წუთზე მეორე ბურთი
გამოეტანა საკუთარი ბაღიდან —

უკანასკნელ წუთებში თბილისის
კომიტეტისა და კალინინის სახ.
რაიონის გუნდის მიერ გატანილმა
გოლმა შეხვედრის ბედი მათ სა-
სარგებლოდ გადაწყვიტა, მეორე
ადგილზე გამოვიდნენ ორჯონიკი-
ძის რაიონის ფეხბურთელები.

26 კომ. სახ. რაიონმა მოუგო
სტალინის სახ. რაიონს და მოიპოვა
მესამე ადგილი. მომდევნო ადგი-
ლებზე გამოვიდნენ: სტალინის,
ლენინის, ოქტომბრის სახ. რაიონე-
ბის, კომკავშირის ცენტრალური
კომიტეტის, კიროვისა და გარეუბ-
ნის რაიონების ფეხბურთელები.
ა. გონელი

ლენინის პიკი სიმაღლით მეორეა
საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერ-
ვლებს შორის და მეორე შვიდი-
ათასიანი მწვერვალია, სტალინის
პიკის შემდეგ იმ 15 უმაღლესი
მწვერვალიდან, რომელნიც ქართვე-
ლმა მთავსვლელებმა დაიპყრეს პა-
მირის ნუბუზის ექსპედიციაში. გა-
წვადებული არ იქნება თუ ლენინის
პიკზე 14 ქართველი მთავს-
ვლის ერთობლივ ასვლას საქართვე-
ლოს მთავსვლელთა მორიგ დიდ სპო-
რტულ გამარჯვებად ჩავთვლით,
მითუმეტეს, როცა ეს ასვლა
ბიმაღლებში გასვლის წინ სავარჯი-
შოდ იყო მიჩნეული.

ლენინის პიკზე სათანადო წვრთ-
ნისა და აკლიმატიზაციის შემდეგ
გამოყენებულ იქნა ეს ნაცადი ტაქ-
ტიკა და მისი უპირატესობა კვლავ
დადასტურდა. ამავე ტაქტიკით მო-
აწყობეს ასვლა ჩინეთ-საბჭოთა კავში-
რის ორმა მოიერიშე ჯგუფმა სპორ-
ტის დამსახურებული ოსტატების
ვ. კუშმინისა და ვ. აბლაკოვის
ხელმძღვანელობით, რის შედეგად
მწვერვალზე 38 მთავსვლელი აიყუ-
ნეს; ხოლო სპორტის დამსახურე-
ბული ოსტატი — ბელეცკი, რო-
მელმაც არ გაიზიარა ეს ტაქტიკა,
ჩინეთ-საბჭოთა კავშირის 26 მთა-
სვლელთაგან შემდგარი ჯგუფით
შეფერხდა 6600 მეტრზე და იძუ-
ლებული გახდა უკან დასვებუ-
ლყო.

ლენინის პიკის სამხრეთ მისა-
დგომებზე, პამირის დიდი უდაბური
მარგანეს ველის ჩრდილო-დასავ-
ლეთით, მდინარე კარაჯალგას სათა-
ვეში 4200 მეტრის სიმაღლეზე
ჩვენი საზაო ბანაკის გვირგვინით
მოიწყო აგრეთვე ჩინეთ-საბჭოთა
კავშირის დიდი ექსპედიცია 84
კაცის შემადგენლობით (ჩვენი ექს-
პედიცია კი ითვლიდა 18 კაცს). ეს
ექსპედიცია 1959-60 წლებისათვის
ტიბეტიდან ევრესტზე ჩრდილოეთ-
ის გზით ასვლისათვის სამზადი-
სში იყო და ლენინის პიკზე საწვ-
რთნელი ასვლისათვის ემზადე-
ბოდა. ამ ექსპედიციას წელს
ვ. კუშმინი ხელმძღვანელობდა, ხო-
ლო ტიბეტში გასვლისას ჩინელი
მთავსვლელი კელი-ში-ჯან-ჩენი
ჩაუდგება სათავეში.



სურათზე: მომენტი „თურგის“ კართან, მეკარე პეტეხოვი
იღებს მაღალ ბურთს.

3 სექტემბერს, 2 საათზე ტაშკენ-
ტის დროით, სამ ათეულად და-
ყოფილი მოიერიშე ჯგუფი,
რომელსაც გამოცდილი მო-
სიმაღლენი: ჯ. მემპარიაშვილი,
მ. ახვლედიანი და ზ. ახვლედიანი
მეთაურობდნენ, ხოლო საერთო კო-
ლონის იერიშის ხელმძღვანელობა
პირველი ათეულის მეთაურს ჯ. მე-
მპარიაშვილს ჰქონდა დაკისრებუ-
ლი — აღწევს მწვერვალს და მის ქიმ-
ზე საქართველოს სსრ დროშას აღ-
მართავს. გამარჯვებულთა შორის
არაიან — სპორტის ოსტატები: ჯ.
მემპარიაშვილი, ლ. ახვლედიანი, ზ.
ახვლედიანი, რ. ხაზარაძე, თ. კუბი-
ანიძე, გ. აბაშიძე, თ. ხაზარაძე, პი-
რველთაწარმოებლები — შ. მირია-
ნაშვილი, ი. ყავლაშვილი, ნ. ნაღი-
ნაშვილი, ს. ხაბეიშვილი, შ. ჩარ-
ოლანი, გ. მაჭარაშვილი და პ. გვა-
როლიანი.
1958 წლის პამირის ექსპე-
დიციის მუშაობის შედეგები მხო-
ლოდ მწვერვალზე ასვლით არ
უნდა შეფასდეს. მხედველობა-
ში უნდა იქნეს მიღებული ასე-
ლის წარმატებით განხორციელე-
ბისათვის დიდი წინასწარი საწვრთ-
ნელი-საკლიმატიზაციო, საორგანი-
ზაციო და ტაქტიკური ღონისძიებე-
ბი, რომელიც ექსპედიციამ ჩაატარა
ლენინის პიკზე იერიშის
წინ.

თვენახევრის ერთად მუშაობის
პერიოდში ორი კოლექტივის დიდი
დაახლოება მოხდა. აღსანიშნავია
ჩინელების დიდი სიმბათიები
ქართველი მთავსვლელის მიმართ,
გულთბილი ურთიერთობა, რომე-
ლიც ქემპარტიტი დამეგობრებით
დამთავრდა.
ორი ექსპედიციის შეთანხმებული
მუშაობა ერთ რაიონში და ერთ
მწვერვალზე აუცილებელი იყო და
ამას დიდი ერთსულოვნებით მივა-
დწით. ჩვენს საერთო ამოცანებს
შეადგინდა: წასაღები საჭურვე-
ლის და შანგბადის აპარატების გა-
მოცდა, საერთო სამედიცინო, სტ-
რანსპორტო და სამეურნეო ღონის-
ძიებების ჩატარება და სხვ.

გათაავაჟის ისჯორიიანე

გუნდური შედეგები

1947 წელი, ტალინი

1. უკრაინა, 2. საქართველო, 3. მოსკოვი, 4. ესტონეთი, 5. რუსეთის ფედერაცია, 6. სომხეთი.

1949 წელი, კუბიშევი

1. უკრაინა, 2. საქართველო, 3. აზერბაიჯანი, 4. ლენინგრადი, 5. ესტონეთი, 6. რუსეთის ფედერაცია.

1950 წელი, ზაპოროჟიე

1. უკრაინა, 2. საქართველო, 3. რუსეთის ფედერაცია, 4. ლენინგრადი, 5. აზერბაიჯანი, 6. სომხეთი.

1952 წელი, ბაქო

1. საქართველო, 2. რუსეთის ფედერაცია, 3. მოსკოვი, 4. აზერბაიჯანი, 5. ესტონეთი, 6. უკრაინა.

1953 წელი, თბილისი

1. საქართველო, 2. მოსკოვი, 3. რუსეთის ფედერაცია, 4. უკრაინა, 5. ესტონეთი, 6. აზერბაიჯანი.

1954 წელი, ლენინგრადი

1. „დინამო“, 2. „სპარტაკი“, 3. „ისკრა“, 4. თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბი, 5. „სტროიტელი“, 6. „შრომითი რეზერვები“.

1955 წელი, ბაქო

1. საქართველო, 2. აზერბაიჯანი, 3. უკრაინა, 4. მოსკოვი, 5. სომხეთი, 6. რუსეთის ფედერაცია.

1956 წელი, მოსკოვი



1. ლენინგრადი, 2. საქართველო, 3. ესტონეთი, 4. უკრაინა, 5. რსფსრ, 6. აზერბაიჯანი.

1957 წელი, კიევი

1. საქართველო, 2. უკრაინა, 3. ლენინგრადი, 4. რუსეთის ფედერაცია, 5. საქართველო II, 6. მოსკოვი.

ს უ რ ა თ ე: ვ. ბალავაძის (მარჯვნივ) მოწინააღმდეგე ალაბეკიანი სარბილიდან გაქცევით აღწევს თავს დამარცხებას. ქვევით — ჯ. დავლიანიძემ (მარცხნივ) „ხილზე“ შეაყენა უკრაინელი ი. გორბატინკო.

ოტო მ. ზარგარიანისა.



მეგობრული შარკები გ. ფირცხალავასი.



გ. სხირტლაძე



ა. ალბული



ბ. ბალავაძე



გ. არსენიანი



მ. პრშკოლსკი

საკავშირო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

ვინ მოიპოვებს ოქროს მედალს?

ჩემპიონატის პირველმა სამმა წრემ ნაწილობრივად გაცხრილა ოქროს მედალისათვის მებრძოლთა რიგები. დარჩენილთა შორის მხოლოდ ზოგიერთები თუ იბრძვიან საჭარილო ქულის გარეშე. აი სწორედ მათ აქვთ გამარჯვების ყველაზე დიდი შანსები. მოკიდევითა უმეტესობა კი იბრძვის ერთი, ორი და მეტი საჯარიმო ქულით. ცხადია, ასეთ პირობებში ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, შეიძლება სახელისწერო გამოდგეს.

საქართველოს პირველი გუნდის წარმომადგენელს მონასელიძეს უკრაინელ ბრძოლადგან და მარცხების შემდეგ ვერ ჰქონდა კარგად საქმე. პირველ სამეულში გავსვლისათვის მას სჭირდებოდა მხოლოდ სუფთა გამარჯვებები. სწორედ ამ განზრახვით დაიწყო მან ბრძოლა აზერბაიჯანელ ჯამილოვის წინააღმდეგ, მაგრამ მოულოდნელად თავისსავე ფანდზე წამოგო. მონასელიძეს ჩაეთვალა სუფთა დამარცხება. იგი გამოვარდა შეჯიბრებიდან.

უმჩატეს წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ოქროს მედალის მთავარი პრეტენდენტია საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ზ. მჭედლოშვილი. მას ჯერჯერობით სამი შეხვედრიდან სამი მოგება აქვს. უკანასკნელ წრეში მჭედლოშვილმა ერთ წუთში მოუგო ბრძოლა რსფსრ-ს მეორე გუნდის წარმომადგენელს, სპორტის ოსტატ ბაზინჩს. ამ წონაში წარმატებით იბრძვიან აგრეთვე უკრაინელი საიადოვი და ბელორუსი კარავე-

ვი. ბრწყინვალედ გამოდის შჩატე წონაში საქართველოს პირველი გუნდის წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. არსენიანი. მან უკვე ჩაატარა სამი შეხვედრა და სამეულ თავის სასარგებლოდ დაამთავრა. უნდა ითქვას, რომ არსენიანს ამ გამარჯვებებისათვის დასჭირდა 8 წუთზე ნაკლები დრო. ჩემპიონის წინაშე ფარ-ხმალი დაუარეს თურქმენეთის წარმომადგენელმა ატაჯანოვმა, აზერბაიჯანელმა იბრაჰიმოვმა და უკრაინელმა მხითაროვმა. ამ წონაში საქართველოს პირველი გუნდის მეორე წარმომადგენელი ა. მაისურაძე მესამე წრეში შეხვედა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოკიდევს კაშკინს (ესტონეთი), მეოთხე წუთზე ესტონელმა სუფთა გამარჯვება მოიპოვა. სამი წრის შემდეგ კარგი მაჩვენებლები აქვთ რსფსრ-ს წარმომადგენელს ყაზაროვს და ლენინგრადელ ზამიატინს.

საბჭოთა კავშირის პირველობის პირველი პრიზიორი, სპორტის ოსტატ გ. ჯინქარაძე ამ შეჯიბრებაზე ძალზე სუსტად გამოდის. მან ორი შეხვედრა (მოსკოველ ივანოვთან და ბელორუსელ სურიკოვთან) სუფთად წააგო და გამოვიდა შეჯიბრებიდან. ქვემსაბუქ წონაში მთავარი ფავორიტია ერცვენილი სპორტის ოსტატი, მსოფლიო თასზე გამარჯვებული ნ. მუშედანი.

როდესაც ხალიჩაზე გამოვიდნენ მსუბუქი წონის მოკიდევები, ბესტაევი (მოსკოვი) და ჯღამაძე (ლიტვა), ყველა დარწმუნებული იყო პირველის იოლ გამარჯვებაში. მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო. მართალია, მოსკოველმა პირველ წუთებზე მოწინააღმდეგეს წაართვა რამდენიმე ქულა, მაგრამ შემდგომში ბრძოლა გათანაბრდა. ჯღამაძე გააქტიურდა, ბესტაევი კი პასიურ ბრძოლაზე გადავიდა, რისთვისაც ორი გაფრთხილება მიიღო. შეხვედრა ბოლოსდაბოლოს მოიგო ბესტაევი. მაგრამ მეტად ძნელ და შეუპოვარ ბრძოლაში. გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს პირველობის მეორე პრეტენდენტი ამ წონით კატეგორიაში უკრაინელი ვ. ხინიაშვილი. მას ყველა სამი შეხვედრა მოგებული აქვს იოლად. ორი წრის შემდეგ თბილისელს. გაბარაევს არ ჰქონდა საჯარიმო ქულა. მესამე წრეში იგი შეხვედა უკრაინელ სპორტის ოსტატ კოლენსიკს და წააგო შეხვედრა ქულებით. ამრიგად, გაბარაევი მეოთხე წრეში ბრძოლას სამი საჯარიმო ქულით დაიწყებს.

მოსკოველ ალაბეკიანთან გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ვ. ბალავაძემ ჩაატარა კი-

დევი ორი შეხვედრა. მან ოთხ წუთში ბეჭებზე დასცა სომხეთის წარმომადგენელი კირაკოსიანი და მეექვსე წუთზე სუფთა გამარჯვება მოიპოვა ლატვიელ ლიპმანსზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რამდენადაც საპატიოა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოკიდებისათვის, იმდენად არასასარბიელი მდგომარეობაშია იგი შეხვედრების ჩატარების დროს. რატომ? იკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ ჩემპიონთან ბრძოლას ყველა გაურბის. აქტიური წინააღმდეგობის ნაცვლად ისინი პასიურ დაცვას ამჯობინებენ და ჩემპიონს მეტი დროს დახარჯვა უხდებია გაქცეული მოკიდავის ხალიჩაზე შემოსაყვანად. ქვესაშუალო წონაში სამსამი გამარჯვება აქვთ საქართველოს წარმომადგენლებს დავლიანიძესა და მუხიაშვილს. მესამე წრეში ბრწყინვალედ იმუშავა უკრაინის პირველი გუნდის წარმომადგენელმა ნეზიეროძემ, აზერბაიჯანელ დააშვიტს წინააღმდეგ. მე-8 წუთზე მან სუფთა გამარჯვება მოიპოვა. ორი სუფთა მოგება აქვს მოსკოველ ალაბეკიანს.

სპორტის ოსტატმა გ. სხირტლაძემ მეორე და მესამე წრეში ყოველგვარი გართულებების გარეშე მოიგო შეხვედრები. ჯერ ყაზახეთის წარმომადგენელს ამიანს ნი წაშში მოუგო, ხოლო შემდეგ ლენინგრადელი მოროზოვი — 3:0 წაშში დაამარცხა. სხირტლაძე უდავოდ ოქროს მედალის მთავარი პრეტენდენტია საშუალო წონაში. სამსამი გამარჯვება აქვთ რსფსრ-ს პირველი გუნდის წარმომადგენელს ძახსოროვსა და თბილისელ გობეჯიშვილს. რამდენიმე წლის წინ გაიცნეს ქართული ჭიდაობის მოყვარულებმა ახალგაზრდა საჯარეგოელი ფალავანი ზურაბაული. იგი თანატოლებისაგან გამოირჩეოდა ეროვნული ჭიდაობის მდიდარი ტექნიკური არსენალით და სისხარტით. ზურაბაულმა ეს თვისებები შეინარჩუნა თავისუფალ ჭიდაობაშიც. სწორედ ქართული ჭიდაობის იდეებით მოიპოვა მან გამარჯვება პირველ სამ წრეში.

ჩემპიონატის პირველი დღის გმირი ქვემსაბუქ წონის ახალგაზრდა მოკიდავი ნ. გოგიბედაშვილი იყო. სულ რამდენიმე ხნის წინ გოგიბედაშვილი ჰაბუკთა შეჯიბრებებში გამოდიოდა, წელს კი იგი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოკიდავთა რიგებში ჩადა და მათთან ერთად იბრძვის საპატიო ტიტულისათვის, რამდენად კანონზომიერია ახალგაზრდა სპორტსმენის პრეტენზიები, ცხადი გახდა ჩემპიონატის პირველ წრეში. გოგიბედაშვილმა სუფთად მოუგო შეხვედრა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს

სპორტის დამსახურებულ ოსტატს ესტონელ ა. ენგლასს. მაგრამ ეს იყო სპორტსმენის პირველი წარმატება. მომდევნო შეხვედრები გოგიბედაშვილმა კვლავ ოსტატურად ჩაატარა, დაამარცხა ჯერ უკრაინელი დონსკიხი (შვიდ წუთში) შემდეგ კი გულაი (უკრაინა) მე-7 წუთზე. პირველობისათვის ამ წონით კატეგორიაში იბრძვის ლენინგრადელი ა. ალბული და უკრაინელი ბ. გურტიჩი. მათ ჯერჯერობით მხოლოდ სუფთა მოგებები აქვთ. საპრიზო ადგილზე გავსვლის კარგი შანსები აქვს აგრეთვე მოსკოველ ნიჟარაძესაც.

თანაბარი სიძლიერის მოკიდევებით არის წარმოდგენილი მძიმე წონა. უკრაინელ ვიხრისტიუკს, რსფსრ-ს წარმომადგენელს ძარაოვს, საქართველოს გუნდის წევრს კანდელაკს გამარჯვების ერთნაირი შანსები აქვთ. სამსამი გამარჯვება, რომელიც მათ მოიპოვეს პირველი ორი დღის შემდეგ, ამის მტკიცე გარანტია იქნება. ჩვენის აზრით საპრიზო ადგილები ამ სამ სპორტსმენს შორის უნდა განაწილდეს. კარგად დაიწყო შეჯიბრება რესპუბლიკის ჩემპიონმა ქართულ ჭიდაობაში ვარდოშვილმა. მან ორი შეხვედრა მოიგო სუფთად. მესამე წრეში იგი შეხვედა ესტონელ მატაუეს და მეოთხე წუთზე განიცადა დამარცხება.

როგორია ჩემპიონატისაგან მიღებული პირველი შთაბეჭდილებები? შეხვედრათა ჩატარების სისტემაში ზოგიერთმა სიახლემ, მოკიდევები გამოაფხიზლა, გააქტიურა. სწორედ ამ მიზეზით იმტა სუფთა გამარჯვებების რიცხვმა ისეთ წონით კატეგორიაშიც კი, როგორცაა მძიმე. ასე მაგალითად, მეორე წრეში ჩატარებულ 12 შეხვედრიდან 8 დამთავრდა სუფთა გამარჯვებით, სამი ქულებით და მხოლოდ ერთი ფრედ. საგრძნობლად ამაღლდა წამყვან მოკიდავთა ოსტატობის დონე, გამდიდრდა მათი ტექნიკური-ტაქტიკური არსენალი. ის, რაც უწინ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ ოსეთის მოკიდავთა მთავარ საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა (მოგვერდები, სარმები და სხვა იდეები, რომლებიც ფეხის აქტიურ მუშაობასთანადაკავშირებული) დღეს მას უმრავლესობა იყენებს. მისასაღმებელია ისიც, რომ ჩემპიონატმა ახალგაზრდა ნიჭიერი მოკიდავები გამოავლინა. მართალია, მათ წარმატებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ, ის, რაც ამ ახალგაზრდებმა უკვე გააკეთეს, საბაზს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გამოცდილ ოსტატებს კარგი რეზერვი ეყოლება.

შეჯიბრება დამთავრდება დღესაც. ციგაპურიძე, სპორტის დამსახურებულ ოსტატია: ნ. გუგუშვილი.



„მექსე კონტინენტი“

მუდმივად ახლის ძიებაში მყოფი ადამიანი დაეუფლა ახალ სამყაროს — „მექსე კონტინენტი“. მის მიერ შექმნილი აპარატებით მას შეუძლია ისერიანოს ზღვის ფსკერზე, დატბეხს წყალქვეშა პეიზაჟებით და ფარდა ახადოს ოკეანის ხილრმეთა საიდუმლოებას.

ყველაფერი უბრალოდ დაიწყო... 1940 წელს ფრანგმა სპეციალისტებმა სცადეს მძიმე საყვირით სკაფანდრები რაიმე მსუბუქით შეეცვალათ. ერთ-ერთი მათგანის წინადადებით უხეში, ილუმინატორიანი მუშარადი შეცვალეს უბრალო, სათვალე-გებანი რეზინის ნიღბით, რომელსაც დღეს ყველა პლასტა და საცურაო აუზებზე შეხვდებით. რასაკვირველია, მაშინ ახრად არავის მოუვიდოდა, რომ იგი საფუძვლად დაედებოდა სპორტის მამაცურ და უახლეს სახეობას — წყალქვეშა სპორტს.

წლის ხილრმეთა დაუფლება სხვადასხვა მოსაზრებით იტაცებდა ადამიანის გონებას. დღემდე მრავალი კუნძულის მკვლევარი მარგალიტის ნიჟარების საოცნებლად 30-40 მეტრის ხილრმეზე ეშვება წყალში და ლუკმა პურის საშუავნელად საბედისწერო რისკზე წასუბი ხშირ შემთხვევაში ნა-

თელთევზების ლუკმა ხდება, ზოგიც წმინდა სპორტული თვალსაზრისით ეშვება წყალში. ერთ ძველ წიგნში მოთხრობილია, რომ XVIII საუკუნის ცნობილ მოგზაურ ზღვაოსანს, რომლის ზომადის ლუკაც მარკის კუნძულების წყალქვეშა კლდეებზე გაიქცა, დაეხმარა ადგილობრივი ტომის ბელადი, რომელმაც ეს მძიბე ოპერაცია უსასილოდ შეასრულა და ზომადის ლუკა განათავისუფლა. საინტერესოა, რომ მას თვალზე გაკეთებული ჰქონია ძვლის სათვალეები.

ნიღბისა და მსუბუქი სასუნთქი აპარატის დამზადების შემდეგ მთავარი იყო იარაღის დამზადება წყალში სანადიროდ და თავის დასაცავად. ამ მიზნით პირველად გამოიყენეს იმპროვიზირებული მშვილდი, რომელიც ისრის მკვდარი ქოლგის ჩხირებს ისრად. შემდეგში ეს იარაღი გააუმჯობესეს და ხმარებაში შემოვიდა ზამბარაინი და რეზინიანი ხელთაფი, რომელიც მინიატურულ ბარჯებს (ვეშაპზე სანადირო იარაღის მსგავსი) ისრის წყალში უხმაურო მოძრა-

ობისათვის გამოიგონეს რეზინის ფარფლთათები, რომელიც მყვინთავისათვის იგივე მოვალეობას ასრულებს, რასაც ქვეითისათვის ველოსიპედი — მცირე ენერჯის დახარჯვით აწვითარებს საჭირო სისწრაფეს.

წყალქვეშა სპორტმა სულ მცირე ხანში მრავალი საინტერესო აღმოჩენა ამოატივტა წყლის ზედაპირზე. ასე მაგალითად, ჭერ კიდევ 1936 წელს მყვინთავმა პარი რეიზბერგმა, რომელიც კუნძულ იამიკასთან პორტ კინგსტონის შორიანო ეტება ჩაძირული გემის კორპუსს, შემთხვევით აღმოაჩინა XVII საუკუნის ქალაქი პორტ როიალი, რომელიც თავის დროზე ესპანელი მონათავებრი, სა და „მისი უდიდებულესობის მეკობრეების“ ცნობილი ფრენის დრეიკისა და აღმირალ ანსონის თავშესაფარს წარმოადგენდა. ეს ქალაქი 1692 წელს უძლიერესმა მიწისძვრამ წყლის ქვეშ მოაქცია. იგი შემდეგში რამდენჯერმე იქნა შემჩნეული წყალში, მაგრამ მისი დათვალიერება და ძვირფასეულობის ამოღება პარი რეიზბერგამდე არავის

უცდია. მეორე მსოფლიო ომმა დროებით შეაჩერა რეიზბერგის მოღვაწეობა, მაგრამ ომის შემდეგ მან ისევ განაახლა დაწყებული საბურობები თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე. 1954 წელს ამერიკულმა კინოვირმა „უნივერსალ ჰიქ-ჩერმა“ გადაიღო დოკუმენტური ფილმი ამ ქალაქისა და რეიზბერგის შესახებ.

მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა გააკეთა საფრანგეთის ქალაქ ანტობის წყალქვეშელთა კლუბის სპორტსმენმა — დოქტორმა პირუმ ლაფარდოვანი ნაპირის მახლობლად კუნძულ ლევანის წყალქვეშა კლდეებს შორის დროს 27 მეტრის ხილრმეზე იგი აწვდა ჩაძირული ზომადის ჩონჩხს, რომელიც სავსე იყო ნუშის კურკებო-სა და თევზის ფხით გატანილი ქოთნებით. მასველმა ოპერაციამ მიიღო „იტატანის“ სახელწოდება, რომელმაც სავსებით გააშართა თავისი სახელი: დამტკიცდა, რომ ხილისა და თევზის თავისებური კონსერვები განკუთვნილი იყო იულოოს კეისრის ლეგიონერებისათვის, რომლებიც

ამ პერიოდში ვალუმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. თვითონ გემი ერთად ერთია, რომელიც დღემდე აღმოჩენილი გემებიდან ჩვენს ერამდეა აგებული და საშუალებას გვაძლევს გავცნოთ აღმჩინებელი ეპოქის გმომ. მშენებლობას.

წყალქვეშა ფოტო და კინოაპარატების გამოგონებამ კიდევ უფრო შიშობილი გახდა „მექსე კონტინენტი“ შესწავლა. ქალაქ კანიდან სამანძიან გემით „სკარიათი“ ექვსწლიან ნაოსნობას შეუდგა ავსტრიელი კინომოღვაწე მანს მასი, რომელიც გადაიღებს ფილმებს წყარო ოკეანის ცხოველთა სამყაროსა და ვახტარაილის მსაზღვრელი წყლების ხილრმეების შესახებ.

ყოველწლიურად სულ უფროდაუფრო „სახლდებიან“ ზღვის ხილრმეები წყალქვეშა მხატვრები. ისინი 10-15 მეტრის ხილრმეზე სპეციალურ ლუკაზე ამაგრებენ სამხატვრო მოღბერტს და ნატურადან ხატავენ წყალქვეშა პეიზაჟებს, რისთვისაც წყალთან ნეიტრალურ საღებავებს ხმარობენ.

სულ ახლახან უდიდესი სენსაცია გამოიწვია ბერლინელი ვიქტორ ვან ლენის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ამირტს, ფეხზე ვაჯდარი წინ კოსტუმის დაუქრამდე, როგორც ცნობილია, სრუტეზე არა ხიდი, გვირბის გათხრაც მხოლოდ პროექტშია, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აკრიტიკებს ენთუზიასტს და გადაკრულ სიტყვებსა და დაცინვებზე დიმილით პასუხობს: „ასევე დასცილონენ იმ სპორტსმენსაც, რომელმაც პირველად გადასცურა ეს სრუტე“.

საქმე იმაშია, რომ ვან ლენტი გამოცდილი მყვინთავია. იგი ვარაუდობს, რომ დიდი წნევის ხაწინააღმდეგო სპეციალურად დამზადებული სკაფანდრით 50 საათში გაივლის 82 კილომეტრს ლამანის სრუტის ფსკერზე. იგი სკაფანდრზე დაამაგრებს სპეციალურ ბალონს, რომლითაც წაიღებს ვიკამინებით მდიდარ თხევად საკვებს.

შემდეგს თუ არა ვან ლენტი ლამანის ფხით გადალახვას, ამას უახლოესი მომავალი ვიჩვენებს.
გ. სანსონამი

წერილები კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 31 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხობელი წერილი „მუშაობა ჩაშლილია“. წერილში ნათქვამია, რომ ზესტაფონის რკინიგზის კვანძის საწარმოებში რამდენიმე ასეული ახალგაზრდა მუშაობს, მაგრამ მათი სურვილი, იმეცადინონ სპორტის სხვადასხვა სახეობაში, დღემდე არაა დაკმაყოფილებული. ეს აიხსნება იმით, რომ აქ არავითარი ყურადღება არ ექცევა მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას.

ფორმალურად არსებობს ფეხბურთისა და ფრენბურთის გუნდები, ჭერ არც ერთი ნიშნისანი არ მომზადებულა და სხვ.

როგორც საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებები რკინიგზის ზესტაფონის კვანძის საწარმოებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი გაზეთის 31 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული იყო მამხობელი წერილი „გვეკირდება კეთილმოწყობილი ბაზები“, სადაც ნათქვამი იყო, რომ ახალციხეში ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, რომლებიც ქალაქის დასვენების პარკში იყო, დაეთმო კულტურის სახლის მშენებლობას და მოედნები გადატანილ იქნა ქალაქის სტადიონზე. უკვე მესამე თვეა მიმდინარეობს მათი იქ მოწყობა, მაგრამ საქმის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მოწყობილია კალათბურთის მოედანი, შეკეთდა სპორტული დარბაზი, მოგვარდა საცურაო აუზის წყლით მომარაგების საქმე და სხვ.

სპორტის დამახებრებული ოსტატი ნიკოლოზ ოზეროვი ჩვენს ქვეყანაში ცნობილია არა მარტო, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, არამედ იგი ნიჭიერი სპორტული კომენტატორი და მოსკოვის სამხატვ-

რო თეატრის მხახიობიცაა. და აი, თბილისელმა სპორტის მოყვარულებმა ნ. ოზეროვზე „ეერიში“ მიიტანეს თბილისში, სადაც ის მონაწილეობდა ჩოგბურთში სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში. როგორც კი სახელმწიფო სპორტსმენს ნახვდნენ თამაზიდან

თავისუფალს, წამსვე მის გარშემო იკრებოდნენ ახალგაზრდები რომლებსაც ნ. ოზეროვი უყვებოდა შვეციის ჩემპიონატზე მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

სტუდენტ თქვენ ხედავთ თბილისელ სპორტის მოყვარულთა მიერ „დატყვევებულ“ ნ. ოზეროვს. ფოტო ვ. შერშოვისა.



გასულ კვირას სოფ. ბაგების მობამოებში ჩატარდა საკავშირო კროსის მეორე ეტაპი, რომელშიც თბილისის სპორტსაზოგადოებათა ექვსი კოლექტივის 107 სპორტსმენი მონაწილეობდა. წინა სავაზაფხულო კროსთან შედარებით შეჯიბრებაში მონაწილეობდა ორი გუნდით მეტი, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრებას თავი აარიდა „ლოკომოტივმა“, რომელმაც გასულ შეჯიბრებაზე გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

500 მეტრზე რბენა გოგონათა შორის დამთავრდა ლ. სტურსკაიას (განათლების განყოფილება) გამარჯვებით—1.21,3, მეორე ადგილზეა ლ. ბელიაევა („განათილი“)—1.23,7, მესამეზე—ლ. აბლიაზოვა (განათლების განყოფილება)—1.25,8. კაბუტა შორის 1000 მეტრზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა გ. ნოვა (განათლების განყოფილება)—2.50,1, მეორე ადგილი წილად ხვდა დინამოელ ა. ოვანიანს.

2000 მეტრზე რბენაში, რომელშიც სულ 10 ქალი მონაწილეობდა, ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეასრულა სათანადო ნორმატივი, მათ შორის გამარჯვებული ბურვესტნიკელი ზ. კორჩაგინას შედეგია — 8.24,8.

საინტერესოდ წარიმართა ვაეთა შეჯიბრება 8000 მეტრზე რბენაში, რომელშიც 23 მონაწილიდან ხუთმა სპორტსმენმა მეორე თანრიგზე უკეთესი შედეგი აჩვენა. ამ დისტანციაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვა გასული საგაზაფხულო კროსის ჩემპიონმა

„ნორჩი ლენინელის“ თასი

ათეულ ათასობით პიონერი მონაწილეობს ყოველ წელს ნორჩ მძლეოსანთა შეჯიბრებაში გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ თასზე. ეს ტრადიციული ასპარეზობა წელს ლენინური კომპაგვირის მე-40 წლისთავს მიეძღვნება. 15 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე მოეწყობა რაიონული, საქალაქო შეჯიბრებები შემდეგი პროგრამით: რბენა 60 მეტრზე, ხტომები და ბურთის ტყორცვა.

შეჯიბრებებში გამარჯვებულ რაიონულ, საქალაქო ორგანიზაციას გადაეცემა გარდამავალი თასი, ხოლო 5 პიონერული რაზმული დაჯილდოვდება სამახსოვრო ვიშულებით.

გ. გურამიშვილი

საუპოვრომო კროსი

ბურვესტნიკელმა ვ. სუხანოვმა—28.09,0, მეორე ადგილზეა სპარტაკელი ვ. ფომინი — 28.18,6, ხოლო მესამეზეა ბურვესტნიკელი მ. კინწარული, რომელმაც დამაბულ ბროლოში უკან ჩამოიტოვა გამოცდილი მძლეოსანი ვ. პოხნარი. შეჯიბრებაში თორმეტი ქულით გუნდური პირველობა მოიპოვა „განათილის“ სპორტსმენთა კოლექტივმა, რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩა განათლების განყოფილების გუნდი. მესამე ადგილზეა „ბურვესტნიკის“ მძლეოსანთა გუნდი — 13 ქული.

საკავშირო კროსის მესამე ეტაპი ჩატარდება მიმდინარე თვეში ზუგდიდში, რის შემდეგ გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვში გამართულ მეოთხე, დასვენით ეტაპში.

გ. სანსონი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

რედაქტორი ი. უბულაძე.